

ქალის იმამობა ნამაზზე

إمامة المرأة في الصلاة

< ქართული - Georgian – الجورجية >



ავტორი: მუჰამმედ სალიჰ ალ-მუნაჯჯიდ

اسم المؤلف: شيخ محمد صالح المنجد

ბარ

მთარგმნელი: ნოდარ დავითაძე

რეფერატი: ვეისელ ორუჯოვი

ترجمة: نودار (شعبان) داويتادز

مراجعة: ويصل أروجوف

ქალის იმამობა ნამაზზე



კითხვა: ერთ ადგილას რამდენიმე ქალი ერთად იმყოფება და დგება ლოცვის დრო, მათ შეუძლიათ ეზანისა და ყამეთის კითხვა? ასევე მათ შეუძლიათ თუ არა ჯგუფურად ლოცვა?

პასუხი: დიდება ალლაჰს!

შარიათს ქალებისთვის ეზანისა და ყამეთის კითხვა არ დაუდგენია, როგორც ეს არის მამაკაცებისთვის. თუმცა თუ იკითხავენ ეზანსა და ყამეთს, ეს ჰბადებს სამ მდგომარეობას:

1. ის ეზანსა და ყამეთს იკითხავს ჯამათისთვის, რომელიც მხოლოდ მამაკაცებისგან შედგება, ან ჯამათისთვის რომელიც შედგება მამაკაცებისა და გაქლებისგან, რაც შარიათს არ დაუდგენია. ასეთ მდგომარეობაში ქალის ეზანისა და ყამეთის კითხვა მიუღებელია. მამაკაცი ჯამათისთვის მისი ნაკითხი ეზანი და ყამეთი ბათილია.

2. ის ეზანსა და ყამეთს იკითხავს ჯამათისთვის, რომელიც მხოლოდ ქალებისგან შედგება.

3. ან მხოლოდ თავისთვის იკითხავს.

ქალისთვის, ქალი ჯამათისთვის ან თავისთვის ეზანის კითხვა ნებადართულია, თუმცა ეს მისთვის ისეთ აუცილებლობას არ წარმოადგენს, როგორც მამაკაცებისთვის. რადგანაც ეზანი და ყამეთი მამაკაცებისთვისაა აუცილებელი. მაგრამ ქალი თუ ეზანს იკითხავს, ეს ნებადართულია; ასევე თუ არ იკითხავს ესეც ნებადართულია. ქალი თუ ეზანს იკითხავს, მან ხმა არ უნდა აიმაღლოს. მან ხმა იმაზე მეტად არ უნდა აიმაღლოს, რაც მასთან მყოფი ქალი ჯამათის გასაგონადაა საკმარისი.

რაც შეეხება თავისთვის ყამეთის კითხვას ან ქალი ჯამათისთვის ყამეთის კითხვას, ეს მუსთეჰაბობასთან უფრო ახლოსაა, მაგრამ თუ არ იკითხავს ამით მის ნამაზს არაფერი არ დაუშავდება და სრულყოფილია მისი ნალოცი.

რაც შეეხება ნამაზზე ქალის იმამობის საკითხს, ამის ორი ფორმა არსებობს:

1. ქალმა იმამობა რომ გაუწიოს ჯამათს, რომელიც მხოლოდ მამაკაცებისგან შედგება, ან ჯამათს რომელიც ქალებისა და კაცებისგან შედგება. ქალის მამაკაცებზე იმამობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. მნიშვნელობა არააქვს ეს ნამაზი ფარძი იქნება თუ ნააფილე.

2. ქალმა იმამობა რომ გაუწიოს ჯამათს, რომელიც მხოლოდ ქალებისგან შედგება. როდესაც ქალები ერთ ადგილას თავშეყრილნი იქნებიან, მათთვის ჯამათით ლოცვა მუსთეჰაბია.¹ მათგან ერთი რომელიმე იმამობას გაწევს, თუმცა იმამი წინა საფის შუაში დადგება და წინ არ გაიწევს. ქალის ქალ ჯამათზე იმამობა ნებადართული და მიღებულია.²

¹ ეს არის შაფი და ჰანბელი მეზჰების შეხედულება. ჰანფი მეზჰების მიხედვით, ქალის ქალ ჯამათზე იმამობა მექრუჰია, თუმცა ასე ნალოცი ნამაზი მიღებულია. (მთარგმნელი)

² ისლამის ფიყჰში ქალის ველაეთი, გვ. 176.

